ქ. თბილისი, სოფ. დიღომი, დიდი დიღომი რაზმაძის ქ. #53-ის მოპირდაპირედ ს/კ N 01.72.14.094.862 ნაკვეთში აშენებული ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის დარღვევით ნაწარმოები მშენებლობის კონსტრუქციული დასკვნა

ჩემს მიერ (კონსტრუქტორი ა. მჭედლიშვილი) შესწავლილ იქნა მოცემული პროექტის კონსტრუქციული ნაწილი, საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევებთან ერთად.

პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია 36 (ოცდათექვსმეტ) ფურცელზე გააჩნია განმარტებითი ბარათი დამოცმული პროექტის ნახაზების სია.

პროექტი დამუშავებულია კომპლექსური პროგრამა „LIRA„-ს გამოთვლების საფუძველზე.

სახლის მზიდი კონსტრუქცია რ/ბის მონოლითური კარკასია სვეტებით aXb=55X40სმ. სარდაფისა და I სართულის, aXb=50X40სმ, II სართულზე. aXb=45X40სმ III სართულზე და aXb=40X40სმ მე IV სართულებზე. რ/ბის მონ. სვეტები განთავსებულია რ/ბის მონოლითურ h=50 სმ. საძირკვლის ფილაზე რომლის არმირებაც მოწყობილია Ф20A500C არმატურის ორმაგი ბადით ბიჯით ბ: 250X250 მმ, საძრიკვლის ფილა განთავსებულია I სგე (ფენა-2)-ზე პირობითი საანგარიშო წინაღობით R_0= 2,4 კგ/სმ^2. საიდანაც გამომდინარე მოცემული საძირკვლის ფილა მზიდუნარიანია ხუთსართულიანი სახლის დატვირთვაზე და ექსპერტიზას შენიშვნა არ გააჩნია.

რ/ბის მონ. კარკასის როგორც ზევით ავღნიშნეთ სვეტების პარამეტრები სხვადასხვა სართულზე სხვადასხვაა. სარდაფის სართულზე aXb=55X40სმ-ს და დაარმირებულია Ф20A500C არმატურით. სვეტების საკიდები განთავსებულია სვეტის თავსა და ძირში გახშირებული ბიჯით 100 მმ-ით სვეტის კვეთის 1,5 ზე, რაც ექსპერტიზისათვის მისაღებია და ექსპერტიზას შენიშვნა არ გააჩნია, ანალოგიური არმირებაა მოცემული I სართულის რ/ბის მონ. სვეტებზე. II სართულის სვეტების კვეთი aXb=50X40ს დაარმირებულია 10Ф22A500C არმატურით, მზიდი არმატურების ურთიერთბმა მომხდარია ზედდებით არმატურის 40d მანძილის გათვალისწინებით, რაც ექსპერტიზისათვის მისაღებია და შენიშვნა არ გაგვაჩნია, სვეტის კვეთის ცვლილება ხდება III სართულზე aXb=45X40სმ. და დაარმირებულია 10Ф20A500C არმატურით IV სართულზე aXb=40X40სმ-ზე და დაარმირებულია 8Ф20A500C არმატურით სვეტების მზიდუნარიანობა მისაღებია და ექპერტიზას შენიშვნა არ გააჩნია.

რ/ბის მონ. კარკასის კოჭები bXh=40X50სმ-ს. ყველა სართულზე დაარმირებულია სწორად. ერთმანეთთან არმატურის ბმა ხდება 40d-ს ფარგლებში ქვედა არმატურის სვეტის მიმდებარედ, ზედა არმატურის კი

მალის 1/3-ის ფარგლებში. საკიდების განთავსება სვეტების მიმდებარედ კვეთის 1,5-ში გახშირებულია ბიჯით 100 მმ. არმატურის ზედა ღერები განაპირა ღერძებში ჩაბრუნებულია საანკერე ნორმით სვეტებში. კოჭების არმირება ჩატარებულია სწორად და ექსპერტიზას შენიშვნა არ აქვს.

პროექტში მოცემული სართულშუა გადახურვები რ/ბის მონ. ორმაგად არმირებული h=20 სმ ფილებით. გადახურვის ფილები დაარმირებულია Ф12A500C არმატურით ბიჯით 200 მმ. აქ აღსანიშნავია რომ გადახურვის ფილის არმირება მოცემულია სწორად მზიდუნარიანობა მისაღები და ექსპერტიზას შენიშვნა არ აქვს.

ჩემს მიერ შენობის ვიზუალური შემოწმებით დადგინდა, რომ ზევით მოცემული კონსტრუქციების ყველა პარამეტრი სწორია და გამომდინარე აქდან შეიძლება ვთქვათ, რომ მშენებლობის დროს დარღვევა არ განხორციელებულა.

პროექტში დამუშავებულია აგრეთვე კიბის კონსტრუქცია თითოეულ სართულზე რ/ბის მონოლითური ორმარშიანი 20 (ოცი) საფეხურიანი კიბით. ∇0,00 ნიშნულიდან ∇3,18 ნიშნულამდე კიბის საფეხურების სიმაღლის ხარჯზე დამატებულია თითოეულ მარშზე თითო საფეხური სულ 22 საფეხური, რაც კონსტრუქციული თვალსაზრისით მარშის მზიდუნარიანობაზე ქმედებას არ იწვევს და დასაშვებად მიმაჩნია.

ზევიდან გამომდინარე ვასკვნი.

დასკვნა

არსებული შენობის მშნებელობის დარღვევა არ განხორციელებულა, რაც დადგინდა ვიზუალური შემომწებებისას, $\nabla \pm 0,00 \div \Delta 3,18$ ნიშნულებზე კიბის მარშში დამატებითი თითო საფეხური არ ცვლის კონსტრუქციის მზიუნარიანობას და დასაშვებად მიმაჩნია.

კონსტრუქტორი: ა. მჭედლიშვილი

08.01.2025